ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

სხდომის ოქმი № 3

ქ. თბილისი

30.01.2019

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. **ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:**

1. **დავით მალაზონია** - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ მასწავლებელი, საბჭოს თავმჯდომარე
2. **გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ** - ფონდ საერთაშორისო განათლების ცენტრის პროგრამების მენეჯერი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **თამილა ჩუბინიძე** - სსიპ - ალექსანდრე ცინცაძის სახელობის ქალაქ თბილისის N150 საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე, მასწავლებელი, საბჭოს მდივანი
4. **მაკა მამფორია** - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ მასწავლებელი;
5. **დავით ჭეიშვილი** - სსიპ - ვაჟა ფშაველას სახელობის ქალაქ თბილისის N 87 საჯარო სკოლის დირექტორი
6. **გელა მაჭარაშვილი** - სსიპ საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ კორბოულის N 2 საჯარო სკოლის დირექტორი
7. **თამარ მამსიკაშვილი** - სსიპ თბილისის N 64 საჯარო სკოლის დირექტორი
8. **ნინო ჯანჯღავა** - ა(ა)იპ წმინდა ალექსი შუშანიას სახელობის მართლმადიდებლური სკოლა - გიმნაზიის დირექტორი
9. **ავთანდილ აბდუშელიშვილი** - შპს „დამოუკიდებელი საერო გიმნაზია შავნაბადას“ დირექტორი

10. **რევაზ აფხაზავა** - ა(ა)იპ განათლების პოლიტიკის დაგეგმვის და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის გამგეობის თავმჯდომარე

11. **კახაბერ ფარცვანია** - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ზუგდიდის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ლალი შაიშმელაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

ნათია მჭედლიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანალიტიკოსი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. შპს გიმნაზია

   ნანა ალექსანდრია - დირექტორი

2. შპს თბილისის საერთაშორისო სკოლა

   მარგარიტა კუპრაშვილი - დირექტორი

   ნათია ქაჯაია - იურისტი

3. შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ინტელექტი

   ორესტ პესჩანენკო - დირექტორი

   ნიკოლოზ ჩხარტიშვილი - დირექტორის მოადგილე

4.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში-ექსპერტები):

თამარ ამზაშვილი

ლია გრიგოლია

სერგო დურგლიშვილი

ცირა ნიკოლაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე დავით მალაზონია.

სხდომა გაიხსნა 17:20 საათზე, საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. შპს გიმნაზიაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა
2. შპს თბილისის საერთაშორისო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განმეორებითი განხილვა
3. შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ინტელექტის ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ლალი შაიშმელაშვილმა, საბჭოს

წევრების მიმართა, რომ შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ინტელექტის წარმომადგენლებმა დააყენეს შუამდგომლობა, რომ მათი საკითხის განხილვა გადმოეტანათ პირველ საკითხად. საბჭო დაეთანხმა აღნიშნულ შუამდგომლობას და დაამტკიცა შეცვლილი დღის წესრიგი:

1. შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ინტელექტის ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა

2. შპს გიმნაზიაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

3. შპს თბილისის საერთაშორისო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განმეორებით განხილვა

1. შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ინტელექტის ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ლალი შაიშმელაშვილმა საბჭოს წევრებს მიმართა, რომ ცოტა ხნის წინ შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ინტელექტ პლიუსმა გაიარა ავტორიზაცია, რომელიც იყო შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ინტელექტის მემკვიდრე და აქედან გამომდინარე სკოლის წარმომადგენლებმა ცენტრს მიმართეს წერილით, რომ ზოგასაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გაეუქმებინა ავტორიზაცია შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ინტელექტისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ინტელექტის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი

კენჭისყრის შედეგები;

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, მე-15 მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტისა 31-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ინტელექტს (ს/კ204521375) გაუუქმდეს ავტორიზაცია.

2. შპს გიმნაზიაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა თამარ ამზაშვილმა და ლია გრიგოლიამ. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები სტანდარტების შესაბამისად.

1.1. ექსპერტ თამარ ამზაშვილის განცხადებით დაწესებულებაში მონიტორინგის ჯგუფის ვიზიტის საფუძველი გახდა მოსწავლის მშობლის მიერ სამინისტროში გამოგზავნილი წერილი. კერძოდ, სკოლა მოსწავლეს არ აძლევდა საშუალებას გადასულიყო საჯარო სკოლაში, თუმცა ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში ინციდენტი ამოწურული იყო, რაც დადასტურდა სკოლის წარმომადგენლებთან და მოსწავლის მშობლებთან გასაუბრებით.

ექსპერტის თქმით, სკოლას არ გააჩნდა არსებითი სახის დარღვევები ავტორიზაციის სტანდარტებთან დაკავშირებით. თამარ ამზაშვილმა საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით აღნიშნა, რომ შერჩევის წესით ექსპერტები გაეცნენ რამდენიმე საგნის სხვადასხვა კლასის შემაჯამებელი დავალებების ანალიზს, სადაც გამოიკვეთა შემდეგი თავისებურებები:

შემაჯამებლები ძირითადად ტესტური იყო, ჭარბობდა დახურული კითხვები, ხდებოდა მხოლოდ ფაქტობრივი ცოდნის შემოწმება, ვერ დგინდებოდა მაღალი სააზროვნო უნარების განვითარება. შემაჯამებელი დავალებების ანალიზი ერთიანი ფორმით იყო გაკეთებული, უმეტესად ზოგადი იყო, ხშირ შემთხვევაში, ვერ იძლეოდა პრობლემების იდენტიფიცირების ან მისი გადაჭრის საშუალებას.

შერჩევითი წესით გეოგრაფიაში შესრულებული შემაჯამებელი დავალებების დათვალიერებისას აღმოჩნდა, რომ ტესტური დავალებით განსაზღვრული იყო მინიმალური ფაქტობრივი ცოდნა. მოსწავლეს უნდა შემოეხაზა სწორი ვარიანტი. მასწავლებელს არ ჰქონდა სრულად წარმოდგენილი შემაჯამებელი დავალების ანალიზის ფორმა. დავალების საკითხები, შეფასების რუბრიკა და ინდიკატორები.

პედაგოგებს მიეცათ რეკომენდაცია ყურადღება გაემახვილებინათ საგნობრივი სტანდარტების ინდიკატორების ასახვაზე და შემოწმების მექანიზმზე შემაჯამებელი დავალებების განსაზღვრის დროს.

საბჭოს წევრმა დავით ჭეიშვილმა სკოლის წარმომადგენელს სთხოვა განმარტება აღნიშნულთან დაკავშირებით. სკოლის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ დაწესებულებამ გაითვალისწინა ექსპერტთა რეკომენდაცია და ხარვეზი უკვე აღმოფხვრილი იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით, საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

2.1. ექსპერტმა თამარ ამზაშვილმა მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულება მდებარეობდა ფოთში, დემეტრე თავდადებულის ქ. N 51. გარეთა ფასადით ორსართულიანი იყო ვიზუალური დათვალიერებით კი ოთხსართულიანი შენობა-ნაგებობა, რომელიც იყო შპს სკოლა გიმნაზიის საკუთრება. შენობა-ნაგებობა გარემონტებული იყო 2014 წელს. მიწის დაზუსტებული ფართობი 1335.00კვ.მ და მასზე მდებარე შენობა-ნაგებობა 390,48კვ.მ. იყო.

ექსპერტის თქმით დაწესებულებას ზემოთ აღნიშნულ მისამართზე ჰქონდა საცურაო აუზი, რომელსაც იყენებდნენ სპორტის გაკვეთილებისათვის. ამ ეტაპზე სკოლას არჩეული ჰქონდა სპორტის შემდეგი სახეობები: მძლეოსნობა, ცურვა და ფეხბურთი. ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ სკოლის სპორტული დარბაზი მშენებლობის პროცესში იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით, საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

2.3. ექსპერტ თამარ ამზაშვილის განმარტებით სკოლას ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით არსებითი სახის ხარვეზები არ გააჩნდა. მისი თქმით სკოლაში დასაქმებული იყვნენ მასწავლებლები, დირექტორი, სასწავლო პროცესის მენეჯერი, ხარისხის მართვის მენეჯერი, მშობლებთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, ოფისის მენეჯერი, ბიბლიოთეკარი. სანიტარული ჰიგიენის დამცველი, უსაფრთხოების უზრუნველმყოფელი სხვა დამხმარე ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი.

სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი იყვნენ „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. მასწავლებელთა განათლება და კვალიფიკაცია შეესაბამებოდა დაკავებულ თანამდებობას. მონიტორინგის პერიოდში გადამოწმდა თითოეული მასწავლებლის პირადი საქმე, მათ შორის იმ პედაგოგების პირადი საქმეებიც, რომლებიც დაწესებულებაში დასაქმდნენ ავტორიზაციის შემდგომ პერიოდში. ახალი სასწავლო წლიდან სკოლაში შრომითი ხელშეკრულება გაუფორმდა 2 ახალ პედაგოგს, თუმცა სკოლას არ გამოუცხადებია კონკურსი ვაკანტურ ადგილზე.

დაწესებულებამ მიიღო რეკომენდაცია, ემოქმედა მოქმედი კანონმდებლობისა და სკოლის შინაგანაწესში გაწერილი წესის მიხედვით.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით, საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს გიმნაზიისთვის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება

კენჭისყრის შედეგები;

მომხრე - 10

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს გიმნაზიის (ს/კ:215147945) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

3. შპს თბილისის საერთაშორისო სკოლაში განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განმეორებით განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს

იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა სერგო დურგლიშვილმა და ცირა ნიკოლაშვილმა. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები სტანდარტების შესაბამისად.

3.1. ექსპერტმა სერგო დურგლიშვილმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე საზოგადოებას შეახსენა, გამომდინარე იქედან რომ სკოლის შენობა არ იყო ექსპლუატაციაში მიღებული, სკოლის წარმომადგენლებმა 2019 წლის 17 იანვრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე საკითხის განხილვისას ითხოვეს გარკვეული ვადა დოკუმენტის წარმოსადგენად, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ აღნიშნულ შენობაში სასწავლო პროცესის განხორციელება უსაფრთხო იყო მოსწავლეებისთვის და თანამშრომლებისთვის.

საჭოს თავმჯდომარემ სკოლის წარმომადგენელს გადასცა სიტყვა, მან წარმოადგინა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ მიუხედავად იმისა, რომ სკოლის შენობა არ იყო ექსპლუატაციაში მიღებული, სასწავლო პროცესის წარმართვა იყო უსაფრთხო.

საბჭოს წევრმა, გელა მაჭარაშვილმა, სკოლის წარმომადგენელს მიმართა, როდისთვის აპირებდა დაწესებულება მშენებლობის დამთავრებას და შენობის ექსპლუატაციაში მიღებას. სკოლის წარმომადგენელმა სავარაუდო თარიღად 2020 წლის ზაფხული დაასახელა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ სკოლის მხრიდან წარმოდგენილი დოკუმენტი დამაკმაყოფილებელი იყო საბჭოსთვის და კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თბილისის საერთაშორისო სკოლის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება

კენჭისყრის შედეგები;

მომხრე - 10

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს თბილისის საერთაშორისო სკოლის (ს/კ:200073623) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ 18:00 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე

დავით მალაზონია

მდივანი

თამილა ჩუბინიძე